



თბილისი კაპიტალი

ტურიზმის სექტორის მიმოხილვა

მაისი 2025

კვარტალური განახლება

ირაკლი ურგებაშვილი
ასოცირებული მკვლევარი

ირინა კვახაძე
უფროსი ვიცე პრეზიდენტი

2025 წლის I კვარტალი



საერთაშორისო
ვიზიტები

1 172 336

I კვ. 2025

1.3%

წლიური
ცვლილება, %



ტურისტული
ვიზიტები

958 947

I კვ. 2025

2.2%

წლიური
ცვლილება, %



ერთდღიანი
ვიზიტები

213 389

I კვ. 2025

-2.4%


წლიური
ცვლილება, %

45%



საშუალო
დატვირთულობა

USD 118



ოთახის საშუალო
ღირებულება

ტურიზმის სექტორის მიმოხილვა: 2024 & I კვ. 2025

2024 წელს, საერთაშორისო ვიზიტები 4.6%-ით გაიზარდა და 6.46 მილიონი შეადგინა. ვიზიტორებში სამეზობლო ქვეყნები - რუსეთი, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ლიდერობენ, ხოლო ხუთეულს ისრაელი კრავს. დამატებით, ვიზიტორების მაღალი ზრდა დაფიქსირდა ჩინეთიდან (+83%), ინდოეთიდან (+47%), ისრაელიდან (+43%), უზბეკეთიდან (+23%) და საუდის არაბეთიდან (+21%).

2025 წლის პირველ კვარტალში, საერთაშორისო ვიზიტებმა 1.2 მილიონი შეადგინა, რაც წლიურად 1.3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ვიზიტები წლიურად გაზრდილია ისრაელიდან (+73%), ჩინეთიდან (+40%) და ინდოეთიდან (+28%).

საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 2024 წელს 4.4 მილიარდი აშშ. დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც წლიურად 7.3%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. რუსეთის წილი ჯამურ შემოსავლებში 19%-ია, თურქეთის - 14%, ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთის წილი 13%-ია, ხოლო ისრაელის წვლილი ჯამურ შემოსავლებში 10%-ია. ამ ქვეყნების ჯამური წილი მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ნახევარზე მეტია.

2025 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 826 მილიონი აშშ. დოლარი მიიღო. რუსეთის წილი 15%, ისრაელის 14%, ხოლო თურქეთის წილი ჯამურ შემოსავლებში 13%-ია.

ვიზიტორების დანახარტების მხრივ, 2025 წლის პირველ კვარტალში, დანახარტების 26% შოპინგზე მოდის, ხოლო განთავსების საშუალებებზე და საკვებზე & სასმელზე დანახარტების თანაბარი წილი, თითოეულ კატეგორიაზე 24%-ს შეადგენს. ამ სამ ძირითად კატეგორიაზე ვიზიტორების დანახარტების 74% მოდის.

2024 წლისთვის, მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში საშუალო დატვირთულობა 56%-ს შეადგენდა, რაც მცირედით, 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2023 წლის მონაცემებზე. რაც შეეხება 2025 წლის პირველ კვარტალს, ამ შემთხვევაში საშუალო დატვირთულობა 45%-ს შეადგენს, რაც 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2024 წლის შესაბამის პერიოდზე.

მაღალბიუჯეტური სასტუმრო ნომრის საშუალო ფასი 2024 წელს წლიურად 3%-ით გაიზარდა და გადასახადების გარეშე 130 აშშ. დოლარი შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი კვარტალის მონაცემები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 4%-იან კლებას აჩვენებს და 110 აშშ დოლარს უტოლდება.



TBC CAPITAL

საერთაშორისო ვიზიტები

2024 წელს საერთაშორისო ვიზიტებმა 6.46 მილიონს მიაღწია, რაც წინა წელთან შედარებით 4.6%-ით მეტია. ტურისტულმა ვიზიტებმა 5.09 მილიონი შეადგინა, რაც 9%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, ხოლო ერთდღიანი ვიზიტები 9%-ით შემცირდა და 1.36 მილიონს მიაღწია.


2025 წლის პირველ კვარტალში საერთაშორისო ვიზიტები წლიურად 1.3%-ით გაიზარდა და 1.17 მილიონი შეადგინა. ტურისტული ვიზიტები წლიურად 2.2%-ით გაიზარდა, ხოლო ერთდღიანი ვიზიტები 2.4%-ით შემცირდა.

2024 წლისთვის საერთაშორისო ვიზიტებში რუსეთის წილი 22%-ია. მას მოსდევს თურქეთი 21%-იანი წილით, სომხეთი (15%) და ისრაელი (5%). რაც შეეხება აზერბაიჯანს, სახმელეთო საზღვარი კვლავ დაკეტილი რჩება და შესაბამისად, აზერბაიჯანელი ვიზიტორების წილი მხოლოდ 3%-ს გაუტოლდა.

2025 წლის პირველ კვარტალში, რუსეთი და თურქეთი ჯამურ საერთაშორისო ვიზიტებში 19%-იანი წილებით არიან წარმოდგენილნი, ხოლო სომხეთის წილი 15%-ია. ხუთეულის ბოლო ადგილებს ისრაელი და აზერბაიჯანი, შესაბამისად, 7% და 6%-ით იწაინილებენ.


გრაფიკი 1

საერთაშორისო ვიზიტები ტიპების მიხედვით, მილიონი ვიზიტი



გრაფიკი 2

საერთაშორისო ვიზიტები ძირითადი ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

საერთაშორისო ვიზიტები


2024 წელს საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 6.46 მილიონს მიაღწია, რაც 4.6%-ით მეტია 2023 წელთან შედარებით. ძირითად ქვეყნებს შეადგენენ რუსეთი (წილი ჯამურ ვიზიტებში - 22%), თურქეთი (21%), სომხეთი (15%) და ისრაელი (5%).

ვიზიტების რაოდენობა ისრაელიდან წლიურად 43%-ით გაიზარდა და 311 ათასი შეადგინა. ვიზიტების რაოდენობა რუსეთიდან წლიურ ჭრილში თითქმის უცვლელია, ხოლო თურქეთიდან და სომხეთიდან ვიზიტების რაოდენობა, შესაბამისად, 4% და 1%-ით არის შემცირებული.


2025 წლის პირველ კვარტალში, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 1.17 მილიონი შეადგინა, რაც წლიურად დაახლოებით 1.3%-იანი ზრდაა. ვიზიტორების რაოდენობით თურქეთი პირველ ადგილზეა 19%-იანი წილით და მას მცირედით ჩამორჩება რუსეთი. მესამე ადგილზე სომხეთი 15%-ით, ხოლო მას მოსდევს ისრაელი 7%-ით.

თუმცა, ვიზიტები თურქეთიდან შემცირებულია წლიურად 12%-ით, ხოლო რუსეთიდან გაზრდილია 2%-ით. სომხეთის შემთხვევაში კლება 6%-ს შეადგენს, ხოლო ვიზიტები ისრაელიდან, მკვეთრად, წლიურად 73%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 3 საერთაშორისო ვიზიტები ქვეყნების მიხედვით, '000, 2024



გრაფიკი 4 საერთაშორისო ვიზიტები ქვეყნების მიხედვით, '000, I კვ. 2025




საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები

2024 წელს საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი წლიურად 7.3%-ით გაიზარდა და 4.4 მილიარდ აშშ. დოლარს გაუტოლდა. 2025 წლის პირველ კვარტალში, შემოსავალმა 826 მილიონ დოლარს მიაღწია, რაც წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2.3%-იანი ზრდაა.


რუსეთის წილი ჯამურ შემოსავლებში 19%-ია, თურქეთის - 14%, ევროკავშირი და დიდი ბრიტანეთის წილი 13%-ია, ხოლო ისრაელის წვლილი ჯამურ შემოსავლებში 10%-ია. ამ ქვეყნების ჯამური წილი მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლების ნახევარზე მეტია.

2025 წლის პირველ კვარტლის მონაცემებით, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში რუსეთი ლიდერობს - 142 მლნ. აშშ. დოლარით. მას მოსდევს ისრაელი 114 მლნ. აშშ. დოლარით, ხოლო შემოსავალმა თურქეთიდან 107 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა. ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის რეზიდენტების დანახარჯები მიმდინარე პერიოდში 103 მლნ. აშშ. დოლარს უტოლდება.

გრაფიკი 5 შემოსავალი საერთაშორისო მოგზაურობიდან, მლნ. აშშ დოლარი



გრაფიკი 6 შემოსავლების განაწილება ქვეყნების მიხედვით, მლნ. აშშ დოლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი; შენიშვნა: ბელორუსის, უკრაინის და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ 1 წელზე მეტი დროით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით, ითვლებიან საქართველოს რეზიდენტებად და მათ მიერ გაწეული ხარჯები არ შედის საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებულ შემოსავლებში.

დანახარჯების სტრუქტურა და განთავსება


2025 წლის პირველ კვარტალში, საერთაშორისო ვიზიტორების ხარჯვებში იკვეთება სამი ძირითადი კატეგორია. ვიზიტორების დანახარჯების მხრივ, 2025 წლის პირველ კვარტალში, დანახარჯების 26% შოპინგზე მოდის, ხოლო განთავსების საშუალებებზე და საკვებზე & სასმელზე დანახარჯების თანაბარი წილი, თითოეულ კატეგორიაზე 24%-ს შეადგენს. ამ სამ ძირითად კატეგორიაზე ვიზიტორების დანახარჯების 74% მოდის.

2025 წლის პირველ კვარტალში, განთავსების საშუალებებში გათვული ღამეების მიხედვით სასტუმროები 37%-ს იკავებს, ხოლო 25% ნაქირავებ სახლზე ან ოთახზე მოდის. ვიზიტორები გათვული ღამეების 24%-ს მეგობართან ან ნათესავთან, ხოლო 11%-ს საკუთარ სახლში ატარებენ.

გრაფიკი 7 დანახარჯების განაწილება შერჩეული კატეგორიების მიხედვით



გრაფიკი 8 განთავსების საშუალებების განაწილება გათვული ღამეების მიხედვით



სასტუმროები საქართველოში



საშუალო
დატვირთულობა

56%

2024



ოთახის საშუალო
დღიური ღირებულება

130\$


2024

2024 წელს, საშუალო დატვირთულობა მაღალბიუჯეტური სასტუმროებში 56%-ს გაუტოლდა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.


2025 წლის პირველ კვარტალში, მაღალბიუჯეტური სასტუმროების დატვირთულობა საშუალოდ 45% იყო, რაც 2024 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია.

რაც შეეხება სასტუმროს ნომრის საშუალო ღირებულებას მაღალბიუჯეტური სასტუმროებში, მაჩვენებელი 130\$-ს გაუტოლდა, რაც 3%-ით მეტია 2023 წელთან შედარებით. მეორე მხრივ, 2025 წლის პირველ კვარტალში სასტუმროს ნომრის საშუალო ღირებულება 118 აშშ დოლარს გაუტოლდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4%-ით ნაკლებია.

გრაფიკი 9 ოთახის საშუალო ღირებულება მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში (დღგ-ს გარეშე)



გრაფიკი 10 საშუალო დატვირთულობა მაღალბიუჯეტურ სასტუმროებში



სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ები), პარტნიორ(ები), თანამშრომელ(ები), დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ები) ან აგენტ(ები) („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში შემოსხვებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს ამკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამოდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დამგებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუთა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაცია. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველაზე ახალ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე.



თბილისი კაპიტალი

www.tbccapital.ge